

## ლიმფავენის გელი

### ➤ ჩვენებები

ლიმფავენის® გელი 95% ნატურალური ინგრედიენტების კომბინაციაა შემუშავებული სპეციალურად ქვედა კიდურების სიმსუბუქისა და გამაგრებელი ეფექტის მისაღებად. მისი ეკონომიური გამოშვების ფორმა იძლევა საშუალებას მის შექმნას შემცირებული ფასით.

### ➤ გამოშვების ფორმა

180 მლ-იანი ტუბი

### ➤ შემადგენლობა

წყალი, დენატურირებული სპირტი, Vitis vinifera-ს ნაყოფის ექსტრაქტი, გლიცერინი, დიპროპილენგლიკოლი, ამონიუმის აკრილოილდიმეთილტაურატი/VP კოპოლიმერი, მენტოლი, პროპილენგლიკოლი, Vaccinium Myrtillus-ის ფოთლის ექსტრაქტი, პანთენოლი, ლიმონმჟავა, Polygonatum Officinale-ს რიზომა/ფესვის ექსტრაქტი, კალიუმის სორბიტი, Aesculus Hippocastanum-ის თესლის ექსტრაქტი, Ruscus Aculeatus-ის ფესვის ექსტრაქტი, Vitis vinifera-ს ფოთლის ექსტრაქტი, ნატრიუმის ბენზოატი, Raphanus Sativus-ის ფესვის ექსტრაქტი, Cupressus Sempervirens-ის თესლის ექსტრაქტი, Ginkgo Biloba-ს ფოთლის ექსტრაქტი, არნიკა მონტანას ექსტრაქტი, ციტრუსისა და ლიმონის ექსტრაქტი, პენტილენგლიკოლი, მაგნიუმის ასპარტატი, თუთიის გლუკონატი, სპილენძის გლუკონატი.

### ➤ ტრადიციულად აღიარებული ძირითადი ინგრედიენტების თვისებები

#### • წითელი ყურძნის ექსტრაქტი

ეს ხისებრი, მცოცავი სახეობა ტრადიციულად ცნობილია სისხლის მიმოქცევის პრობლემების (ფეხებში სიმძიმის, ვარიკოზული ვენების, ბუასილის და მენოპაუზასთან დაკავშირებული სისხლის მიმოქცევის დარღვევების) სამკურნალოდ.

მისი სასარგებლო თვისებები დაფუძნებულია ნივთიერებების არსებობაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სისხლძარღვების დაცვას.

ექსტრაქტი შეიცავს ანტოციანოზიდებს, რომლებიც ტრადიციულად ცნობილია მათი აქტივობით სისხლის მიმოქცევის სისტემაზე, კაპილარების გამტარობის შემცირებით და კაპილარების წინააღმდეგობის გაზრდით. ამგვარად, ისინი ხელს უშლიან ვენურ სტაზს, ებრძვიან ვენურ უკმარისობას და კაპილარების სისუსტეს. ეს მოქმედება გაძლიერებულია ტანინების არსებობით, რომლებიც მოქმედებენ სისხლძარღვთა ვაზოკონსტრიქტორულ თვისებებზე (ხელს უწყობენ სისხლძარღვების კუნთოვანი უჯრედების შეკუმშვას), ხელს უწყობს ვენურ ცირკულაციის გაუმჯობესებას (ქვედა კიდურებში დაგროვილი სისხლის დაბრუნება გულში).

წითელ ყურძენში არსებულ ფლავონოიდებს შორისაა ოლიგოპროანთოციანიდინები, რომლებიც მოქმედებენ თავისუფალი რადიკალების წინააღმდეგ. ისინი ასტაბილურებენ სისხლძარღვების მემბრანებში არსებულ კოლაგენს.

- **ქოქოსის ექსტრაქტი**

ტრადიციულად გამოიყენება როგორც შარდმდენი საშუალება. კვლევებმა აჩვენა, რომ ქოქოს აქვს ვენოტონური მოქმედება ალფა-ადრენერგული მექანიზმის გამო. არსებულ სტეროიდულ საპნოიდებს აქვთ ვაზოკონსტრიქტორული, ანთების საწინააღმდეგო და შეშუპების საწინააღმდეგო მოქმედება, რაც ძალიან სასარგებლოა ბუასილის და ფეხების სიმძიმის სამკურნალოდ. რუტოზიდს აქვს P ვიტამინის მსგავსი აქტივობა, რაც აუმჯობესებს კაპილარების წინააღმდეგობას. ყველა ეს თვისება ნიშნავს, რომ ქოქოსი აუმჯობესებს ვენო-ლიმფურ ფუნქციას და ამსუბუქებს ქვედა კიდურებს ვენურ ცირკულაციის გაუმჯობესებით.

- **გინკგოს ექსტრაქტი**

გინკგო ბილობა მსოფლიოში უძველესი ხის სახეობაა. ერთადერთი მცენარეა, რომელიც გადაურჩა კლიმატურ და გეოლოგიურ ცვლილებებს. კვლევებმა გამოავლინა აქტიური ინგრედიენტების მთელი რიგი, მათ შორის ფლავონოიდები, ფლავონები, ორგანული მჟავები და კერძოდ, გინკგო ბილობას სპეციფიკური ლაქტონები: გინკგოლიდები და ბილობალიდები. გინკგოს მოქმედება, როგორც ჩანს ამ სხვადასხვა კომპონენტებს შორის სინერჯის შედეგია.

ტრადიციულად, გინკგო ბილობას ექსტრაქტი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას სისხლძარღვების გაფართოების ხარჯზე (მათი დიამეტრის გაზრდით).

ნათქვამია, რომ მის შემადგენლობაში შემავალი სხვადასხვა ნაერთი ამცირებს სისხლის სიბლანტეს და შეიძლება დაიცვას ნერვული უჯრედები ანტიოქსიდანტური ეფექტის წყალობით.

- **კვიპაროსის ექსტრაქტი**

კვიპაროსი მაღალი ხეა, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ ევროპასა და დასავლეთ აზიაში ბინადრობს.

კვიპაროსი ზოგადად ვენურ სისტემაზე მოქმედებს. მას აქვს სისხლძარღვების შემავიწროებელი და მატონიზირებელი მოქმედება, რაც სასარგებლოა ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც ვარიკოზული ვენები ან ბუასილი აწუხებს.

- **ცხენის წაბლის ექსტრაქტი**

ცხენის წაბლი ტრადიციულად გამოიყენება ვენური დაავადებების სამკურნალოდ და როგორც, ანთების საწინააღმდეგო საშუალება. ამბობენ, რომ ის ამცირებს კაპილარების გამტარიანობას, აძლიერებს სისხლმიმოქცევას ქვედა კიდურებში ვენური ტონუსის გაზრდით და ამცირებს შეშუპებას.

- **არნიკას ექსტრაქტი**

არნიკას ყვითელი ყვავილები ტრადიციულად ცნობილია ანთების საწინააღმდეგო, ანტირევმატული, ანტიექსიმოზური, ვენოპროტექტორული და სხვა სამკურნალო თვისებებით.

- **სოლომონის ბეჭდის ექსტრაქტი**

სოლომონის ბეჭდის ექსტრაქტი ტრადიციულად გამოიყენება გარეგანად, როგორც ანტი-ექსიმოზიური (სისხლცაქცევების საწინააღმდეგო) და პოდაგრის საწინააღმდეგო საშუალება.

- **ლიმონის ექსტრაქტი**

ლიმონი ცნობილია თავისი ანტიჰემორაგიული და ანტიესპტიკური თვისებებით. ის ათხელებს სისხლს და ხელს უშლის სისხლის კოაგულაციის წარმოქმნას. ლიმონში შემავალი ფლავონოიდები ხელს უწყობს სისხლძარღვების ტონუსის გაძლიერებას და ასევე ხელს უწყობს კანის შეხორცებას.

- **შავი ბოლოკის ექსტრაქტი**

შავი ბოლოკი ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც უძველესი ზამთრის ბოსტნეული. ბუნებრივად მდიდარია ანტიოქსიდანტებით, ის ხელს უშლის კანის ნაადრევ დაბერებას.

- **მოცვის ექსტრაქტი (MYRTILLA™)**

მოცვის ფოთლები შეიცავს ანტოციანინებს, რომლებიც ატონიზირებენ სისხლძარღვებს და მოცვს ანიჭებენ აღიარებულ ეფექტურობას ფეხების სიმძიმის, ვარიკოზული ვენების, ბუასილის და ვენური კაპილარების დაავადებების დროს.

- **პანთენოლი**

ასევე ცნობილი როგორც „პროვიტამინი B5“. პანთენოლი სწრაფად გარდაიქმნება ვიტამინ B5-ად, კოენზიმ A-ს ძირითად კომპონენტად, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს უჯრედებისა და ქსოვილების აღდგენაში. ეს ვიტამინი აქტიურ როლს ასრულებს კანის ფორმირებასა და რეგენერაციაში. ამიტომ, პანთენოლი ცნობილია კანის აღდგენით თვისებებით, კანის უჯრედების პროლიფერაციის სტიმულირებით და ფეხების დაჭიმულობის მოხსნის ეფექტით.

- **მიკროელემენტები: სპილენძი, მაგნიუმი, თუთია.**

სპილენძი და თუთია აღიარებული ანტიოქსიდანტებია კანის დაბერების წინააღმდეგ ბრძოლაში. სპილენძი მონაწილეობს კოლაგენის წარმოქმნაში, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანის სიმკვრივესა და ელასტიურობაში. თუთიას აქვს სამკურნალო თვისებები და მონაწილეობს 300-ზე მეტ ქიმიურ რეაქციაში, რომლებიც აუცილებელია ორგანიზმის სათანადო ფუნქციონირებისთვის. მაგნიუმი ცნობილია თავისი დამამშვიდებელი თვისებებით.

- **მენტოლი**

მენტოლი იწვევს ინტენსიური სიცივის შეგრძნებას, რომელიც ხსნის შეშუპებას, ხელს უწყობს დრენაჟს, სისხლის მიმოქცევას და კუნთების მოდუნებას. მას აქვს ადგილობრივი დამამშვიდებელი და ვაზოტონური თვისებები.

➤ **გამოყენების წესი**

წაისვით ლიმფავენის® გელი დღეში 1-2 ჯერ და შეიზილეთ წრიული მოძრაობებით, კოჭებიდან ზემოთ მიმართულებით. გამოყენების შემდეგ დაიბანეთ ხელები.

➤ **გამოყენების უსაფრთხოების ზომები**

მიჰყევით გამოყენების ინსტრუქციას. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

განკუთვნილია მოზრდილებისთვის, არ გამოიყენოთ ორსული და მეძუძური ქალებისთვის. არ წაისვათ ლორწოვან გარსებზე ან დაზიანებულ კანზე.

**მწარმოებელი:**

**LES 3 CHENES/საფრანგეთი**